სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/257

ქ. თბილისი 18 ოქტომერი 2018 წ.

შპს „თამ მენეჯმენტი-ს“ დირექტორის, ბ-ნ პანტიკო თორდიას წერილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, შპს „თამ მენეჯმენტი-ს“ დირექტორის, ბ-ნ პანტიკო თორდიას წერილის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ოქტომბრის №01-05-2/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგგენს:**

1. დაკმაყოფილდეს შპს „თამ მენეჯმენტი-ს“ დირექტორის, ბ-ნ პანტიკო თორდიას თხოვნა და სამამულო ავიამშენებლობაში, კერძოდ სამხედრო-საბრძოლო თვითმფრინავების მოდერნიზაციის, მსუბუქი და ზემსუბუქი საფრენი აპარატების საცდელი ეგზემპლარების დაპროექტებისა, დამზადებისა და გამოცდის საქმეში შესაბამისი მაღალკვალიფიციური საავიაციო სპეციალისტების მომზადების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნას საავიაციო სპეციალისტების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები. ამ მიზნით სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე პროფესორის თანამდებობაზე მოწვეულ იქნეს ბ-ნ რამინ ზუკაკიშვილი;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე